საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTRE FOR STATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

ჩვენ 20 წლის ვართ / CSRDG is 20 years old

№2-938 21.11.2016

საკითხს აჟღერებს მომხმარებელი.ge
www.moxmarebeli.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საბაჟო დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქტების უსაფრთხოების შემოწმების მიზნით, 2016 წლის 31 ოქტომბერს, თბილისის რამდენიმე მაღაზიაში შევიძინეთ ათი დასახელების თოჯინა, რომლებიც გავგზავნეთ გერმანიაში სათამაშოების უსაფრთხოების შემმოწმებელ აკრედიტებულ ლაბორატორიაში, რომელსაც უსაფრთხოების რამოდენიმე ქიმიური მახასიათებლის შემოწმება ვთხოვეთ.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხების მიხედვით (თან ახლავს) ათიდან ცხრა თოჯინაში აღმოჩნდა დიდი ოდენობით მავნე ნივთიერება დი-2-ეთილჰექსილფტალატი (DEHP), რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა, რის გამოც მისი სათამაშოებში გამოყენება ევროკავშირში აკრძალულია 1907/2006 რეგულაციით (დაშვებული ზღვრული შემცველობაა 0,1 წონითი პროცენტი).

საგულისხმოა, რომ ყველა სათამაშოს შეფუთვაზე მითითებული იყო CE ნიშანი, რომელიც პროდუქტის მახასიათებლების ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე მიუთითებს. აშკარაა, რომ ეს მითითება ათიდან ცხრა შემთხვევაში მცდარი იყო.

გთხოვთ იქონიოთ რეაგირება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და გვაცნობოთ ამის შესახებ.

პატივისცემით,

ლია თოდუა
პროგრამის დირექტორი

დანართები:

1. თოჯინების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები;
2. შემოწმებული თოჯინების ფოტოები;
3. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხები და შემაჯამებელი ცხრილი.

ქ. თბილისი, 0177, დელისის I შესახვევი 5ა
ტელ/ფაქსი: (995 32) 2399019, 2399018 ელ.ფოსტა: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge
5ª Delisi 1st Lane., 0177 Tbilisi / Georgia
Tel./Fax: (995 32) 2399019, 2399018 E-mail: office@csrdg.ge http://www.csrdg.ge